



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 აკადემიური საბჭო

დადგენილება №06-01/91

ქ. ბათუმი

14 აგვისტო, 2019 წ.

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლისა საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ხარისხის პოლიტიკა დანართი 1-ის შესაბამისად;
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ფაკულტეტებს და ყველა სტრუქტურულ დამხმარე ერთეულს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მერაბ ხალვაში

## ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

### ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის (შემდეგში „ხარისხის პოლიტიკა“) შემუშავების საფუძველია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG), საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, უნივერსიტეტის წესდება, მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტები და სხვ. ხარისხის პოლიტიკა გამოხატავს უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების ძირითად მიმართულებებს და წარმოადგენს ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის სახელმძღვანელოს.

#### 2. ბსუ-ს ხარისხის პოლიტიკა:

ა) ეფუძნება უწყვეტობის, გამჭვირვალობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს;

ბ) ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტ შეფასება-განვითარებას, მდგრადობასა და შიდა ხარისხის კულტურის ზრდას;

გ) ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, დამსაქმებლები და სხვ.) მონაწილეობას.

3. ხარისხის პოლიტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს ბსუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე პოლიტიკის გათვალისწინებით, ურთიერთთანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

#### მუხლი 2. ხარისხის პოლიტიკის მთავარი პრინციპები

1. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან ბსუ-ს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარების მიზნით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილებით ჩამოყალიბებული აქვს ხარისხის პოლიტიკის მთავარი პრინციპები:

ა) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა;

გ) პერსონალის შეფასებისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა;

დ) სასწავლო რესურსებისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესება;

ე) სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

ვ) პერიოდული და ეფექტური მონიტორინგის, შეფასების და რეაგირების სისტემის გაუმჯობესება.

#### მუხლი 3. ხარისხის პოლიტიკის პრინციპების რეალიზების მექანიზმები

1. ხარისხის პოლიტიკის პრინციპების რეალიზების მექანიზმებია:

- ა) სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურები;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები;
- გ) ბსუ-ს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და განვითარების პროცედურები;
- დ) სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურები;
- ე) სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროცედურები;
- ზ) პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება.

1. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპების რეალიზაციის მექანიზმების შემუშავებასა და ამოქმედებაზე პასუხისმგებელია ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბსუ-ს რექტორის მოადგილე და მათდამი დაქვემდებარებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

#### **მუხლი 4. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება**

1. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) **სააუდიტორიო მუშაობის მონიტორინგი** - საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების და სასწავლო მასალების განახლების, სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენების, პლაგიატის გამოვლენის, სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის დასწრება/ურთიერთდასწრების მონიტორინგი;

ბ) **სასწავლო პროცესის ორგანიზების მონიტორინგი** - სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესის, მეცადინეობის განრიგის (სასწავლო ცხრილების) შესახებ სტუდენტთა ინფორმირების, საკონსულტაციო მომსახურების დაგეგმვის/განხორციელების, სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის მონიტორინგი და სხვ.;

გ) **საგამოცდო პროცესის მონიტორინგი** - შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალების შემოწმება სასწავლო კურსის სილაბუსთან (კურსის შინაარსი, მისაღწევი შედეგები, შეფასების ფორმა) და საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სტუდენტთა ნაშრომების შერჩევითი მონიტორინგი სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების/რუბრიკების გამოყენების, განმავითარებელი შეფასების შედეგების უკუკავშირის და შეფასების ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით;

დ) **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი** - სტუდენტთა შუალედური და დასკვნითი გამოცდების აკადემიური მოსწრების საბოლოო შედეგების სტატისტიკური და თვისობრივი ანალიზი (უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის და მისი განმახორციელებელი პერსონალის დონეზე), არსებული მდგომარეობის შეფასება, პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა;

ე) **სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი** - სასწავლო პროცესის ორგანიზების, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ელექტრონული სისტემით ([www.portal.bsu.edu.ge](http://www.portal.bsu.edu.ge)) სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარება, შედეგების ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება.

2. სასწავლო პროცესის მონიტორინგს, შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას, პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით, უზრუნველყოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დარგობრივი დეპარტამენტის კოორდინატორი ეტაპობრივად, ფორმა 1-ის შესაბამისად.

#### **მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება**

1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით ხორციელდება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ეტაპზე ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით მოთხოვნილი მასალების (შრომის ბაზრის კვლევა, ბოლო ხუთი წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსები, შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო კვლევები და სხვ.) ანალიზი;

ბ) სამუშაო ჯგუფის, კურიკულუმის კომიტეტის შექმნისა და სამუშაო გეგმის შემუშავების პროცესის მონიტორინგი;

გ) სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის სამუშაო პროცესის (საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების, სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების, მათი მოცულობისა და შინაარსის განსაზღვრის, ლიტერატურის შერჩევის და სხვ.) მონიტორინგი;

დ) პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესის მონიტორინგი.

2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება მოიცავს როგორც სასწავლო პროცესის მონიტორინგს, მასში ჩართული პერსონალის, პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სერვისების შეფასებას, დაინტერესებული მხარეების, სტუდენტთა და განმახორციელებელ პერსონალთა კვლევას, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გზებისა და სამიზნე ნიშნულების მუდმივ მონიტორინგს;

3. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და შეფასებაზე პასუხისმგებელია როგორც პროგრამის ხელმძღვანელი და მასში ჩართული პერსონალი, ისე ფაკულტეტის დეკანი, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დარგობრივი დეპარტამენტის კოორდინატორი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე პასუხისმგებელია:

ა) აკრედიტაციის ვადების, აკრედიტაციის უწყვეტობის პრინციპის, ხელახალი აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენის ვადების და პროცესების მონიტორინგზე;

ბ) აკრედიტაციის ვადის ამოწურვის შემთხვევაში სტუდენტთა (მათ შორის სახელმწიფო სასწავლო გრანტის ან პროგრამული დაფინანსების მიმღებ სტუდენტთა) წინასწარი ინფორმირებულობის დაცვის, სხვა საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზების/შიდა მობილობის ან სხვა ალტერნატივების განხილვის აქტივობების განხორციელების მონიტორინგზე;

გ) სააკრედიტაციო განაცხადში (თვითშეფასებაში) ასახული საუნივერსიტეტო მონაცემების, ასევე პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ან/და მის განუყოფელ ნაწილად მიჩნეულ აკრედიტაციის საბჭოს ოქმში/აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულებისა ან/და მის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგზე;

## **მუხლი 6. პერსონალის შეფასება და პროფესიული წინსვლა**

1. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია პერსონალის შეფასების და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა, რომელიც ეფუძნება ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და კონკურენტული გარემოს შექმნას. პერსონალის შეფასება მოიცავს:

ა) აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და საუნივერსიტეტო აქტივობის შეფასებას;

ბ) სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებას;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის (პროფესიულ მასწავლებელთა პერსონალის/პროგრამის ხელმძღვანელების) საქმიანობის შეფასებას;

დ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებას;

2. პერსონალის შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები და კომპონენტები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის (მასწავლებელთა პერსონალის/სპეციალისტები) საქმიანობის (პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და საუნივერსიტეტო აქტივობის) შეფასების პროცესი წარიმართება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს: პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობა სასწავლო მასალის, სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში; სასწავლო პროცესის მონიტორინგი; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობა; სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივი ანალიზი; სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვა; საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და სხვ.;

ბ) სამეცნიერო პერსონალის შეფასების პროცესი წარიმართება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის N66 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებით. შეფასება მოიცავს სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობას; სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობას; სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს; სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვას; საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას; სამეცნიერო სემინარების ჩატარებას; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობას, სამეცნიერო გამოცემების რედაქციის წევრობას, მონოგრაფიის რედაქტორობას, სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირებას და სხვ.;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის (პროფესიულ მასწავლებელთა პერსონალის/პროგრამის ხელმძღვანელების) საქმიანობის შეფასების პროცესი წარიმართება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N 06-01/07 დადგენილების შესაბამისად;

დ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სტრუქტურული ერთეულის დებულების, დასაქმებულის სამუშაო აღწერილობის/ინსტრუქციის, დამსაქმებლის სამართლებრივი აქტებით, ბსუ-ს პერსონალის მართვის განხორციელების წესის შეფასების კომპონენტების მიხედვით. შეფასების პროცესში ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების გათვალისწინება.

3. პერსონალის შეფასებაზე პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება:

ა) **აკადემიური და მოწვეული** პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო მათ მიერ საბოლოო ანგარიში შეფასების შედეგად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რეკომენდაციების სახით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს და აკადემიურ საბჭოს.

ბ) **სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის** შეფასების პროცესს, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან ერთად კოორდინაციას უწევს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური და ინფორმაციას წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებს წარუდგენს რექტორს და აკადემიურ საბჭოს;

გ) **პროფესიული საგანმანათლებლო** პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასების პროცესს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორთან ერთად კოორდინაციას უწევს ამავე ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. შეფასების ანალიზის საფუძველზე ინფორმაციას წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და ინფორმაციას წარუდგენს რექტორს და აკადემიურ საბჭოს;

დ) **ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასებაზე პასუხისმგებელია** შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები. შეფასების ანალიზის საფუძველზე

რექტორთან/ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან/ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან (მათი უფლებამოსილების ფარგლებში) და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად იგეგმება გასატარებელი ღონისძიებები.

## **მუხლი 7. სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასება და სრულყოფა**

1. სასწავლო რესურსების და სერვისების შეფასებისათვის გამოიყენება ინფორმაციის სისტემატიური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვები, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეების, რესურსების (საბიბლიოთეკო რესურსები, სააუდიტორიო და ლაბორატორიული სივრცეები, კლინიკები, პრაქტიკის ობიექტები, კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული სერვისები, ჰიგიენური ნორმები, სტუდენტთა თავისუფალი სივრცე, კვების ობიექტი, საერთო საცხოვრებელი) და სერვისების (სტუდენტებისთვის: კურიკულუმის გარე აქტივობები, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, პროექტები, კულტურული/შემოქმედებითი და სპორტული წრეები; პროფესორ-მასწავლებელთათვის: სამეცნიერო გრანტები/მივლინებები, სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები/გადამზადების კურსები და ა. შ.) შეფასებას.

2. სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასებაზე პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრი, ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევების სამსახური და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავენ რეკომენდაციებს შესაბამისი რესურსების, სერვისების სრულყოფის მიზნით. ინფორმაციას წარუდგენენ რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

## **მუხლი 8. სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია**

1. სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია მოიცავს: გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევრებისა და სტუდენტების მონაწილეობის შეფასებას; უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების სასწავლო პროცესში ან კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ გარე აქტივობებში ჩართულობას; საგანმანათლებლო პროგრამებში უცხოელ სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებელს; უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობას; პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენციებში, კონგრესებში, სიმპოზიუმებში, ფორუმებში მონაწილეობას და სხვ.;

2. სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობაზე პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, სამეცნიერო კვლევების სამსახური, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ფაკულტეტები. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების მიერ ყოველწლიურ ანგარიშებში აისახება მიღწეული შედეგები, ხდება მათი ანალიზი სამიზნე ნიშნულების შესაბამისად და იგეგმება გაუმჯობესების ღონისძიებები.

## **მუხლი 9. პერიოდული კვლევები**

1. ბსუ-ში პერიოდული კვლევები მოიცავს: სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ; შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზების ხარისხის, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, სტუდენტთა სერვისებით კმაყოფილების კვლევას და ანალიზს; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზს; სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის შეფასებას; დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევას; საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აბიტურიენტთა განაცხადებისა და ჩარიცხვის მაჩვენებლების ანალიზს, აქტიური და შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა მაჩვენებლების ანალიზს, მობილობას, აფილირებულ და არააფილირებულ აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ,

დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობას, აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობას, სამეცნიერო ნაშრომების, კონფერენციებში პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობას, სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული უცხოელი პერსონალის, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას და ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასკვნა/რეკომენდაციების შემუშავებას.

2. პერიოდული კვლევების წარმოებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კვლევის პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი, ხოლო რეკომენდაციების შემუშავების პროცესში - პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კვლევის შედეგები აისახება პროგრამის შეფასების სისტემაში, რომელიც გამოიყენება, როგორც პროგრამის განვითარების, ისე პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით.

განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი	განხორციელების პერიოდი (თვე)												პასუხისმგებელი პირები	პროცედურები და მექანიზმები	შედეგების ანალიზი და რეაგირება	
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12				
საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების და სასწავლო მასალების განახლება														ფაკულტეტის დეკანი; დეპარტამენტის ხელმძღვანელი; პროგრამის ხელმძღვანელი.	მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების ან/და სხვა საჭიროებებიდან გამომდინარე პროგრამაში ცვლილების ინიცირებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი;  საკითხი განიხილება დეპარტამენტისა და კურიკულუმის სხდომებზე, თანხმდება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დასამტკიცებლად წარედგინება ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს.	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მონიტორინგს ცვლილებების ეფექტურობის დადგენის მიზნით
სტუდენტთა სერვისებით კმაყოფილების კვლევა														ფაკულტეტის დეკანი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტი.	მზადდება კითხვარი, რომელიც მოიცავს შემდეგი აქტივობების კვლევას:  ✓ კურიკულუმის გარე აქტივობები; <input type="checkbox"/> ✓ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები; <input type="checkbox"/> ✓ სტუდენტთა სამეცნიერო პროექტები; <input type="checkbox"/> ✓ კულტურული/შემოქმედებითი და სპორტული აქტივობები; <input type="checkbox"/> ელ-პლათფორმაზე განთავსება;  ელექტრონული გამოკითხვა <a href="http://www.portal.bsu.edu.ge">www.portal.bsu.edu.ge</a> ;	პრობლემის იდენტიფიცირება;  შესაბამისი სამსახურების მიერ რეკომენდაციების შემუშავება;  <b>შენიშვნა:</b> გამოკითხვა შესაძლებელია ჩატარდეს განსაზღვრულ ან/და სხვა პერიოდში ეტაპობრივად.
სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასება და სრულყოფა														მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი; პროფესიული პროგრამების	მზადდება კითხვარი, რომელიც მოიცავს შემდეგი აქტივობების კვლევას:  ✓ საბიბლიოთეკო რესურსები; ✓ სააუდიტორიო და ლაბორატორიული სივრცეები; ✓ კლინიკები, პრაქტიკის ობიექტები; ✓ კომპიუტერული ტექნიკა; ✓ ჰიგიენური ნორმები;	რესურსების, სერვისების სრულყოფის მიზნით შემუშავდება რეკომენდაციები და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები



													<p>მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრი;</p> <p>ფაკულტეტები; სამეცნიერო კვლევების სამსახური და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები;</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ სტუდენტთა თავისუფალი სივრცე;</li> <li>✓ კვების ობიექტი;</li> <li>✓ საერთო საცხოვრებელი;</li> </ul>	<p><b>შენიშვნა:</b> გამოკითხვა შესაძლებელია ჩატარდეს განსაზღვრულ ან/და სხვა პერიოდში ეტაპობრივად.</p>
<p>პროფესორ-მასწავლებელთა სერვისებით კმაყოფილების კვლევა</p>												<p>ფაკულტეტის დეკანი; დეპარტამენტის ხელმძღვანელი;</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელი;</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;</p>	<p>მზადდება კითხვარი, რომელიც მოიცავს შემდეგი აქტივობების კვლევას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ სამეცნიერო გრანტები;</li> <li>✓ მივლინებები;</li> <li>✓ ვორქშოპები;</li> <li>✓ ტრენინგები/გადამზადების კურსები ელ-პლათფორმაზე განთავსება;</li> </ul> <p>ელექტრონული გამოკითხვა <a href="http://www.portal.bsu.edu.ge">www.portal.bsu.edu.ge</a>;</p>	<p>პრობლემის იდენტიფიცირება;</p> <p>შესაბამისი სამსახურების მიერ რეკომენდაციების შემუშავება;</p> <p><b>შენიშვნა:</b> გამოკითხვა შესაძლებელია ჩატარდეს განსაზღვრულ ან/და სხვა პერიოდში ეტაპობრივად.</p>	
<p>სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ;</p>												<p>სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი;</p> <p>ფაკულტეტის დეკანი;</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;</p>	<p>მზადდება კითხვარი, რომელიც მოიცავს შემდეგი აქტივობების კვლევას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ აკადემიური რეგისტრაცია; <span style="color: green;">■</span></li> <li>✓ სტუდენტთა ინფორმირება; <span style="color: green;">■</span></li> <li>✓ საკონსულტაციო მომსახურება; <span style="color: orange;">■</span></li> <li>✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; <span style="color: green;">■</span></li> </ul> <p>ელ-პლათფორმაზე განთავსება;</p> <p>ელექტრონული გამოკითხვა <a href="http://www.portal.bsu.edu.ge">www.portal.bsu.edu.ge</a></p>	<p>წელიწადში 2-ჯერ რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი;</p> <p>სტატისტიკური მონაცემებისა და სტუდენტთა კომენტარების ანალიზი;</p> <p>რეკომენდაციების შემუშავება</p>	



<p>შუალედური/ დასკვნითი გამოცდების ორგანიზების ხარისხის კვლევა</p>														<p>ფაკულტეტის დეკანი;  ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;</p>	<p>კითხვარის მომზადება;  ✓ შუალედური გამოცდა <input type="checkbox"/> ✓ დასკვნითი გამოცდა <input type="checkbox"/> ელ-პლათფორმაზე განთავსება;  ელექტრონული გამოკითხვა <a href="http://www.portal.bsu.edu.ge">www.portal.bsu.edu.ge</a>;  საგამოცდო ნაშრომების შერჩევითი მონიტორინგი</p>	<p>წელიწადში 2-ჯერ რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი;  სტატისტიკური მონაცემებისა და სტუდენტთა კომენტარების ანალიზი;  შეფასების ობიექტურობის დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება</p>
<p>შუალედური/ დასკვნითი საგამოცდო მასალები</p>														<p>სასწავლო კურსის განმახორციელებელი; დეპარტამენტის ხელმძღვანელი;  პროგრამის ხელმძღვანელი;  ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;</p>	<p>შუალედური <input type="checkbox"/> და დასკვნითი <input type="checkbox"/> საგამოცდო მასალების მომზადება სასწავლო კურსის სილაბუსის (კურსის შინაარსი, მისაღწევი შედეგები, შეფასების ფორმა) და საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტების შესაბამისად;  შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალების შემოწმება სასწავლო კურსის სილაბუსთან (კურსის შინაარსი, მისაღწევი შედეგები, შეფასების ფორმა) და საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;</p>	<p>საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების გაცემა შესწორებაზე და კონტროლი შესრულებაზე;</p>
<p>პლაგიატის გამოვლენა</p>														<p>სამეცნიერო კვლევების სამსახური;  ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;</p>	<p>პერიოდული მონიტორინგი ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით; <input type="checkbox"/>  წლიური ანგარიშის მომზადება; <input type="checkbox"/></p>	<p>ანგარიშის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;</p>
<p>სააუდიტორიო მეცადინეობის მონიტორინგი</p>														<p>დეპარტამენტის ხელმძღვანელი;</p>	<p>დასწრება/ურთიერთდასწრების</p>	<p>წელიწადში 2-ჯერ რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი;</p>

											საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;  პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;  ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;		რეკომენდაციების შემუშავება გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კვლევა											სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილება;  ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	აკადემიური მოსწრების ელ-პლათფორმაზე განთავსება;  სტატისტიკური მონაცემების დამუშავება;	სტატისტიკური მონაცემების შედეგების რაოდენობრივი ანალიზი და შეფასება
სტუდენტთა დასაქმების კვლევა											საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;  სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტი;  ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;	კითხვარის მომზადება;  ელ-პლათფორმაზე განთავსება;  ელექტრონული გამოკითხვა <a href="http://www.portal.bsu.edu.ge">www.portal.bsu.edu.ge</a> ;	დასაქმებულთა ხელშეწყობა (საკონსულტაციო საათები)

კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა														საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;  დეპარტამენტის ხელმძღვანელი;  ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;	კითხვარის მომზადება;  ელ-პლათფორმაზე განთავსება;  ელექტრონული გამოკითხვა <a href="http://www.portal.bsu.edu.ge">www.portal.bsu.edu.ge</a> ;	ელექტრონული გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგად სწავლის შედეგების რუკაში ცვლილებების შეტანა.
დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევა														საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;  დეპარტამენტის ხელმძღვანელი;	კითხვარის მომზადება;  ელ-პლათფორმაზე განთავსება;  ელექტრონული გამოკითხვა <a href="http://www.portal.bsu.edu.ge">www.portal.bsu.edu.ge</a> ;	დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე სწავლის შედეგების დახვეწა
პროგრამის აკრედიტაციის, რეაკრედიტაციისთვის საჭირო მასალების ანალიზი														ფაკულტეტის დეკანი; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;  დეპარტამენტის ხელმძღვანელი;  ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;	სამუშაო ჯგუფის შექმნა;  სამუშაო გეგმის დამტკიცება;  საკრედიტაციო/რეაკრედიტაცია მასალების მოძიება და პროგრამასთან შესაბამისობის დადგენა;  საკრედიტაციო/რეაკრედიტაცია პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის მომზადება;  პროგრამის წარდგენა აკადემიური საბჭოს წინაშე;	პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება;
აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასება														საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	პერსონალის მიერ თვითშეფასების (პედაგოგიური და სამეცნიერო) მომზადება <a href="http://www.portal.bsu.edu.ge">www.portal.bsu.edu.ge</a> ;	ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელი ტრენინგების დაგეგმვა

																				დეპარტამენტის ხელმძღვანელი;	თვითშეფასებაში ასახული მონაცემების დადასტურება;	
																				ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;		
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება																				ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის ყოველწლიური შეფასება შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მიხედვით (ბსუ-ს პერსონალის მართვის განხორციელების წესი)	შეფასების შედეგების მიხედვით რექტორთან/ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა
სტუდენტთა პროგრამაზე მიღების მაჩვენებლის კვლევა																				ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ( <a href="http://www.naec.ge">www.naec.ge</a> )	საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ინფორმაციის დამუშავება და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.